# ცნობის ფურცელი

№ 1834 სამშაბათი, 11 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1834

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაიქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის ზირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრინჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გადუნული ბამბუკის სახლის ავეჯულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**. (45—37)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—9)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

**პ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ზ. ნ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ძ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**ა. ზ. გარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**მ. ი. იანჩევსკი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**ზ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინძელისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასისტენტი

ექიმი

ა. ი. ბაღარჯ შვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—4)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

## ქუთაისის სააზნაურო სკოლის საკუთარი სადგომის აშენების შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ცნობის ფურცლის“ № 1821-ში ქუთაისის ახალ ამბების განყოფილებაში წავიკითხე ერთი ფრიად საინტერესო ამბავი: ვითომც ქუთაისის სააზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს განეზრახოს ააგოს სკოლისათვის საკუთარი შენობა. აღნიშნული იყო კომიტეტის შეუძლებლობა (მატერიალურად) და ისიც, როგორ შეიძლება ეს საქმე მოგვარდეს: ქალაქი საჭირო ქვას უფასოდ მოატეხინებს და ბევრი შეძლებული თავადი თუ ფულით დ თუ მასალით დიდს შემწეობას აღმოუჩენსო. ჩვენის აზრით, ეს ფრიად საჭირო საქმე ყველა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ უნდა აინტერესებდეს განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, ამიტომ რომ სააზნაურო სკოლებში მაგ. სენაკში და მგონი ქუთაისშიაც იღებენ ყველა წოდების ქართველს. შემწეობა ყველასაგან საჭირო არის ამ საქმისთვის, რომ ეს საშვილისშვილო და სასიქადულო საქმე რაც შეიძლება ადრე და რიგიანათ დამთავრდეს. საჭირო არის რიგიანი და მოხდენილი ადგილი აირჩიეს და კომიტეტმა ენერგიულათ მოჰკიდოს ხელი საქმეს. თუ საშუალო ადგილზე არ იქნა შენობა, უსიამოვნებას გამოიწვევს ზემო და ქვემო იმერეთის მცხოვრებთ შორის და ეს არ არის სასურველი. ამას გარდა, სასურველი არის, რომ ეს სკოლა გიმნაზიათ გადაკეთდეს და თან სახელმწიფო გიმნაზიების ნება ექნეს. ეს თუ მანამდის არ არის მოსახერხებელი, როცა შენობა იქნება მზათ, მაშინ უეჭველად უნდა მოხდეს. დღეს ბავშები ოთხ კლასს ათავებენ, გიმნაზიებში ან ვაკანსიები არ არის მეხუთე კლასში და ან საკონკურსო ეგზამენი უნდა დაიჭირონ და ეს რა ძნელია—ყველამ იცის. უმეტესი ნაწილი რჩება სკოლის გარეთ: მიდიან აფთიაქაში, ან სადმე გადამწერლად.

მე მინდოდა ამ წერილში მომელაპარაკნა საშუალების გამონახვაზე. როგორც წინათ იყო ნათქვამი: ეს ქალაქი შეეწევაო, ეს შეძლებული თავადები შეეწევიანო და სხვა. მაგრამ განა ბევრი გვყავს იმერეთში შეძლებული თავადები? და თუ ისინი მასალას შესწირავენ, ამ მასალის მოტანა დაჯდება ორი იმისი ფასი, ვინაიდან ქუთაისის ახლო იმისთანა ტყე არავისა აქვს, გარდა ერთიორისა. განა ჩვენ, ქუთაისის გუბერნიის შვილები, რომლებსაც უმაღლესი სწავლა მიგვიღია და ბევრი საშუალო ნასწავლებიც უკეთესს პირობებში არა ვართ, ვიდრე ღარიბი სოფლის თავად-აზნაურობა—განა ჩვენ არ შეგვიძლია ამ საქმისთვის ჩვენი წვლილი გამოვიღოთ? განა ჩვენ მოვალენი არა ვართ მივსცეთ შემწეობა იმ მხარეს და ხალხს, რომელმაც ჩვენ გამოგვზარდა და ასე თუ ისე უზრუნველი პური მოგვცა? მოვალეცა ვართ და კიდევაც უნდა შევეწიოთ ქუთაისის კომიტეტს. **მე მოვიწოდებ ყველა ქუთაისის გუბერნიის შვილებს**, განურჩევლად წოდებისა და განათლებისა, რომელნიც სხვა-და-სხვა ქალაქებში სამსახურში არიან, და ვსთხოვ ამ წლიდან დაწყებული ყოველ წლიურად. სანამ ქუთაისის სკოლის შენობა დამთავრდებოდეს, წლიური ჯამაგირიდან გადავდვათ ერთი პროცენტი (1%) ქუთაისის კომიტეტის სასარგებლოთ, რათა ამითი ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ კომიტეტს ამ მძიმე საქმის დამთავრება და ამითი გავამხნევოთ და წავაქეზოთ იგი ამ მეტად მძიმე შრომაზე. ქუთაისის სააზნაურო სკოლის კომიტეტს ვსთხოვ გამოაცხადოს გაზეთებში თუ ნამდვილ დაიწყო ამ შენობის საქმე და ვის ან სად უნდა იგზავნებოდეს შემოწირულებანი. მე ჩემის მხრით, როგორც ზემოხსენებულ განცხადებას წავიკითხავ, ვსწირავ 1% ჩემის წლიური ჯამაგირისას და ასე ყოველ წლიურ, სანამ შენობა დამთარდება.

**ვ. ახვლედიანი.**

## საზღვარ-გარედ

**ავსტრო-უნგრეთი.** შედარებითი მშვიდობიანობა, რომელიც კერბერის სამინისტრომ დაამყარა რეიხსრატში, ისევ განსაცდელში ჩავარდებოდა, ჩეხელ დეპუტატებს რომ თავისი მუქარა აესრულებინათ და ობსტრუქცია დაეწყოთ. პატარა ოპოზიციური პარტიები, რომელთაც იმდენი გავლენა აქვთ, რომ თავისი გაიყვანონ, ხშირად მიმართვენ ხოლმე ამ საშუალებას; განგებ აგრძელებენ ხოლმე დებატებს, ასტეხენ ყვირილს და ზოგჯერ ისეთ უწესოებას მოახდენენ პარლამენტში, რომ კითხვების გარჩევა შეუძლებელი ხდება და თავმჯდომარეც იძულებულია სხდომა დახუროს. ამ საშუალებას უფრო ხშირად ხმარობენ ირლანდიელი დეპუტატები ინგლისის პარლამენტში და ჩეხები—ავსტრიის რეიხსრატში. ობსტრუქციის შიში იმდენად დიდი იყო, რომ თვით ჩეხების მინისტრმა, რეზეკმა, სამსახურიდან გადადგომა არჩია და თხოვნაც შეიტანა ამის შესახებ. მინისტრის აზრით, როგორც დრო, ისე საგანიც ობსტრუქციისა მეტად ცუდათ აყო ამორჩეული. ობსტრუქცია ამ ჟამად ვერაფერ სარგებლობას მოუტანს ჩეხებსაო, რადგან იგი კერბერის სამინისტროს კი არ აყენებს კრიტიკულ მდგომარეობაში, არამედ მლადოჩეხების კლუბსაო. სამინისტროს არაფერი საჩქაროდ გადასაწყვეტი საჭიროებანი არა აქვს ამ წუთშიო. სამაგიეროდ კერბერი ამ შემთხვევაში პარლამენტის სესიის ვადას გააგრძელებს და ბოჰემიის ლანდტაგის მოწვევის ვადას გადასდებსო; შეიძლება ლანდტაგი ამ წელს სულაც არ შეიყაროს და ეს კი მლადოჩეხებისთვის სასურველი არ არისო. ამას გარდა სამინისტროს განსახილველი ჰქონდა ერთი კანონ-პროექტი და ჩეხების ობსტრუქცია მის წინააღმდეგ აუცილებლად აღელვებდა ხალხს, რომელიც მოუთმენლად მოელის მის განხორციელებას. კანონ-პროექტის ძალით 12½% რკინის გზების ბილეთებიდან შემოსული ფულისა, რომელიც ვარაუდით 14½ მილიონს შეადგენს, უნდა მოხმარდეს კანცელარიებში შტატს გარეშე მყოფ მოსამსახურეთ ჯამაგირის მოსამატებლად, დაბალ მოხელეთა, ქვრივთა და ობოლთა პენსიების გასაძლიერებლად დ სტიქიონთაგან დაზარალებულ გლეხთა დასახმარებლად. კანცელარიებში მოსამსახურეებმა დემონსტრაციაც კი მოახდინეს იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომელთა ობსტრუქცია წინ ეღობებოდა კანონ-პროექტის განხორციელებას. ჩეხის მინისტრი განუწყვეტლივ ურჩევდა ჩეხელ დეპუტატებს, ხელი აეღოთ ობსტრუქციაზე. მაგრამ მლადოჩეხთა კლუბი მაინც თავისაზე იდგა დ გამოაცხადა, რომ ობსტრუქციას თავს მხოლოდ მაშინ დავანებებთ, თუ მთავრობა გარანტიას მოგვცემს, რომ მომავალი გარდასახადი მართლა აღნიშნულ საჭიროებათ მოხმარდებაო, და ამასთანავე დაგვპირდება, რომ იგი დააკმაყოფილებს ჩვენ ნაციონალურ მოთხოვნილებათო. პირველის შესახებ მთავრობა დათანხმდა, მაგრამ ნაციონალურ მოთხოვნილებათა შესახებ არავითარი გადაჭრილი დაპირება არ გამოსთქვა, რადგან კერბერის პროგრამა იმაზე არის დამყარებული, რომ არც ერთ ერს არაფერი დაეთმოს სხვა დანარჩენ ერთა დაუკითხავად და დაუთანხმებლად.

რომ უფრო თვალსაჩინოდ ჰყოს ობსტრუქციის უადგილობა, კერბერმა ძალიან მოხერხებულად წინ წამოაყენა დიდი საზოგადო სახელმწიფო რეფორმა, რომელიც ყველა პარტიებისთვის ერთნაირად სასურველია. ეს გახლავთ ბეჭდვითი საქმის რეფორმა, რომელსაც დიდი ხანია ელის ავსტრია. რასაკვირველია, აქ ძირითად უფლებებზე არ არის ლაპარაკი. ეს თავისუფლება ბეჭდვისა დიდი ხანია განხორციელებულია ავსტრიაში. რეფორმა შეეხება დაძველებულ და ახლანდელ დროის შეუფერებელ კანონებს, რომელნიც ხუთავენ ბეჭდვის საქმის განვითარებას. პროკურორს ნება აქვს კონფისკაცია მოახდინოს გაზეთის ნუმრებისა, აკრძალოს მათი თავისუფალი გაყიდვა; აგრეთვე ბეჭდვითი საქმეთა შესახებ იურისდიქცია და სხ. კერბერის მიერ შემოტანილი კანონ-პროექტი პროგრესიულია. თავის სიტყვაში კერბერმა მოიხსენია ის მოტივები, რომელთაც გამოიწვიეს ეს პროექტი: მთავრობამ შეიგნო, რომ აუცილებლად უნდა შეეთანხმოს კანონები იმ მრავალ-მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელნიც მოხდნენ უკანასკნელ ათ წელში ბეჭდვითი საქმეში და ჩვენს პოლიტიკურს და სოციალურს ურთიერთობასა და შეხედულობაშიო.

მე გაბედვით შემიძლია ვსთქვა, რომ კანონ-პროექტში ადგილი არა აქვს პოლიციურ შეხედულებას. ჩვენ ვცდილობდით გაგვედევნა ყოველივე, რაც კი ცოტად მაინც წააგავს ადმინისტრაციის მიერ განზრახ ჩარევას ბეჭდვითი საქმეში. მთავრობამ დაუყოვნებლივ უკუ აგდო ყველაფერი, რაც კი მას დაძველებულად მიაჩნდა. მართლაც ახალი კანონის ძალით კონფისკაცია პრინციპიალურად გაუქმებულია, იგი დამოკიდებული აღარ არის პროკურორის პირად შეხედულებაზე და მის ნებაზე· მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში—უდიდებულესობის შეურაცხყოფა, ან იმპერატორის ოჯახის წევრთა, ღალატი, ღვთის გმობა, მოკვლაზე წაქეზება, სასამართლოს აქტების უდროოდ

გამოქვეყნება და ზნეობის წინაალმდეგ დანაშაული—აი ის შემთხვევანი, როდესაც შესაძლებელია ონფისკაცია.

გაზეთის ქუჩაში გაყიდვას, ახალი კანონით, სრული თავისუფლება ენიჭება. თითქმის ყველა პარტიები სიამოვნებით მიეგებნენ ამ პროექტს, რომელსაც, რასაკვირველია, თავის ნაკლულევანებაც აქვს. სასიხარულო ის არის, რომ ავსტრიის მთავრობამ პირველად უარ-ჰყო პოლიციურ-ადმინისტრატიული შეხედულება გაზეთზე და გამოაცხადა პრესსის განმანათლებელი მნიშვნელობა. „არას დროს—სთქვა კერბერმა,—გაზეთს არა ჰქონია ასეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც დღეს; დიდის უმრავლესობისათვის დღეს გაზეთი არის უმთავრესი წყარო ცოდნის შეძენისა, უმთავრესი საშუალება აღზრდისა და აზრების გამავრცელებელი საზოგადოებაში.“ ამ პროექტმა დიდი გავლენა იქონია და პარლამენტი უფრო ნდობით მოეკიდა სამინისტროს. ჩეხებთან მოლაპარაკებამ უფრო მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. სამინისტრო დაჰპირდა ჩეხებს მილიონ-ნახევარს, რომელიც მოგზაურთა ბილეთის გაყიდვიდან შემოვა, გლეხკაცებისათვის გადაიდებაო. ჩეხები დაკმაყოფილდნენ ამით და ობსტრუქციას თავი დაანებეს.

**ინგლისი**. ლონდონში დაიწყეს გარჩევა ირლანდიელ დეპუტატის არტურ ლინჩის საქმისა. იგი იბრძოდა ბურებთან ერთად ინგლისელთა წინაალმდეგ; მას უყურებენ როგორც სახელმწიფოს მოღალატეს. ბრალდებითი ოქმი ამბობს: ბრალდებული ბრიტანიის ქვეშევრდომია, ირლანდიელი ჩამომავლობით, დაბადებულია ავსტრალიაში. რამდენიმე წლის წინად იგი გადასახლდა პარიზში, სადაც მუშაობდა გაზეთებში. როდესაც სამხრეთ-აფრიკის ომი დაიწყო, ლინჩი წავიდა ბრძოლის ველზე, როგორც გაზეთის თანამშრომელი. წასვლის წინად მან ნახა ტრანსვაალის მთავრობის აგენტი ევროპაში—დოქტორი ლეიდსი. 15 იანვარს 1900 წელს ლინჩი მოვიდა პრეტორიაში და 18 იანვარს მიიღო მოწმობა ფელდ-კორნეტობისა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ლინჩი ბრიტანიის ქვეშევრდომია და ჰსურს იბრძოლოს ბურთა რაზმებში მათი დამოუკიდებლობის დასაცავადო. ამას გარდა, მან ფიცი მიიღო ტრანსვაალის ერთგულობისა და ჩაეწერა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქედ. ამის შემდეგ ლინჩმა შეჰქმნა რაზმი, სახელად „ირლანდიის მეორე ბრიგადა“, და შევიდა თვით პოლკოვნიკის ჩინით. მან დიდი მონაწილეობა მიიღო ნატალზე დაცემაში და სხვა სამხედრო ოპერაციებში გენერალ ბულლერის წინაალმდეგ. ამას გარდა, ლინჩმა დაჰბეჭდა იოჰანესბურგის გაზეთში მოწოდება ირლანდიელთა მიმართ, სადაც იგი იწვევდა მათ ბურების დასახმარებლად. მოწოდება ასე იყო ხელ-მოწერილი; „არტურ ლინჩი, პოლკოვნიკი ირლანდიის ბრიგადისა“. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ პროკურორმა საქმის გადადება ითხოვა, რადგან ბრალდების მოწმეთა უმეტესობა სამხრეთ-აფრიკაში იმყოფებიახო. ლინჩის დამცველმა ამაზე უპასუხა, რომ ჩემი კლიენტი ყოველთვის ცხადად მოქმედობდა და თავის ნამოქმედარზე უარს არ იტყვისო; იგი თავის ნებით წარსდგა ინგლისის სამსჯავროს წინაშე და მზადაა იკისროს, რაც მის მოქმედებას მოჰყვება შედეგათ—როგორიც უნდა იყოს იგიო. ამას შემდეგ ჰკითხეს მოწმეებს, რომელთაც ენახათ ლინჩი, როდესაც იგი ბურებთან ერთად იბრძოდა.

შემდეგ საქმე გადასდეს ერთი კვირით.

## ახალი ამბავი

◆ ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ 7 ივნისს ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის ჯართა მე-2 კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი **ზეზემანი**. გარდაცვალებულის გვამი გუშინ, 10 ივნისს დაასაფლავეს ლიუტერანთა სასაფლაოზე.

◆ კვირას, 9 ივნის, პროფესორებმა **ვ. მ. პეტრიაშვილმა** და პ. თ. ბარაკოვმა სტუდენტებთან ერთად მუზეუმს გარდა დაათვალიერეს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობა ვერაზე; ხოლო გუშინ, 10 ივნის,—საბოტანიკო ბაღი, საუფლისწულო უწყების სარდაფები და ტფილისის სააბრეშუმო სადგური. დღეს პროფესორები და სტუდენტები მიემგზავრებიან ყარაიაზში იქაურ სარწყავ არხების დასათვალიერებლად. ყარაიაზიდან დაბრუნების შემდეგ წავლენ კახეთში.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია, ამ მიმდინარე წელს შეადგინოს სამი ჯგუფი მოხელეთა, რომელთაგან ერთი გაიგზავნება ერევნის გუბერნიაში, მეორე—განჯისაში და მესამე—ტფილისისაში **სახელმწიფო გლეხთა** ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად.

◆ ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების თანახმად, რომელიც ქალაქის თავის მოადგილის არჩევას შეეხება, ქალაქის გამგეობამ **საჩივარი შეიტანა** უმართებულეს სენატში ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციაზე. როგორც მოხსენებული გვქონდა ამას წინად, ქალაქის თავის მოადგილედ დასახელებული იყო ორი წევრი გამგეობისა—თ. ჩერქეზიშვილი და ბ. შესტაკოვი, რომელთაგან ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა თ. ჩერქეზიშვილი, მაგრამ საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა.

◆ ინჟენერმა ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ, რომელთაც სოლოლაკის მთის ქვეშ საბოტანიკო ბაღამდე გვირაბის გათხრა აქვთ განზრახული, გუშინ წარუდგინეს ქალაქის გამგეობას **საკონცესიო პირობათა პროექტი**. როგორც პროექტშია აღნიშნული, კონცესიონერებმა თავიანთ ხარჯით უნდა გაიყვანონ გვირაბი, გამართონ რკინის ხიდი მდ. დაბახანაზე და შეაკეთონ მისასვლელი გზები. კონცესიონერთ გვირაბით სარგებლობა შეეძლებათ 40 წლის განმავლობაში, რომლის შემდეგაც მისი მოწყობილებანი გადაეცემა ქალაქს. გვირაბში გამვლელთ (ფეხით ან ცხენით) გარდახდებათ 2 კაპ., ეტლს—5 კაპ. ქალაქს შეუძლიან გვირაბი ყოველს ჟამს გამოისყიდოს, ამისათვის მან ნამდვილ ღირებულობის გარდა უნდა გადაიხადოს დახარჯულ ფულის 10%. გვირაბი სიგრძით 90 საჟენი იქმნება და სიგანით $5^1/_2$ საჟენი.

◆ გუშინ, 9 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას საგუბერნიო ბეითალის მოხსენებიდან ამოწერილი ცნობები იმის შესახებ, თუ რაა უმთავრესი მიზეზები ტფილისში საკლავ საქონლისა და **ხორცის სიძვირისა**. გუბერნატორი სწერს გამგეობას, გამოიყენოს მოსაზრებანი მოხსენების ავტორისა და შეუდგეს ზრუნვას ხორცის გასაიაფებლად. საგუბერნიო ბეითალს საქონლის სიძვირის უმთავრესს მიზეზად ის მიაჩნია, რომ საქონლის მორეკას ტფილისში შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამას გარდა მორეკილ საქონელს ხელში იგდებენ წვრილი ჩარჩები, რომელნიც შემდეგ ძვირად ასაღებენ. ქალაქის გამგეობამ ავლაბარში საქონლის ბაკი იმ მოსაზრებით გამართა, რომ საქონლის ვაჭრობა გაეწეს-რიგებინა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და საქონლის ვაჭრობა კვლავინდებურად ჩარჩების ხელშია. ბეითალი ადარებს ბაქოს ტფილისთან და ამბობს, რომ ბაქო ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია ამ მხრივ, რადგანაც იქ თვით-მმართველობა ზრუნავს, რომ საქმეში წვრილი ჩარჩები არ ერეოდნენო. ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ საყურადღებო საქმეს განიხილავს ახლო მომავალში.

◆ სასანიტარო საექიმო საბჭომ, ქალაქის თვით მმართველობაში მოსამსახურეთა საექიმო დახმარების საქმის მოსაწყობად, დაადგინა შემოღებულ იქმნას **მარკებით გადახდა** სამკურნალო ფასისა: ავადმყოფნი ექიმს, ფულის მაგივრად, მარკას მისცემენ. ექიმის გასამსჯელო ფასის რაოდენობის აღნიშვნა სასანიტარო საბჭომ მეორე სხდომისათვის გადასდო.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ წინადადება მისცა ქალაქის ბეითალს ვარშამოვს, თავის თანამდებობანი ქალაქის **სხვა ბეითალს გარდასცეს**.

◆ დღეს, 11 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე **სხდომა** ექნება ტფილისის ქალაქის გამგეობას ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელსა და სხ. მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ელექტრონის ტრამვაის პროექტის განსახილველად.

◆ სასანიტარო-საექიმო საბჭომ განიხილა საპნისა და ქონის სადნობ ქარხნების ანტისანიტარული მდგომარეობა და დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ხსენებული ქარხნები მეექვსე საპოლიციო უბნიდან **ქალაქ გარედ იქნას გადატანილი**. ამასთანავე საბჭომ დაადგინა, შუამდგომლობასთან ერთად წარადგინოს ქალაქის უბნის ექიმ ქალის შჩერბინინას მოხსენება ამ ქარხნების ცუდის მდგომარეობის შესახებ.

◆ **ინჟენერი კვერიცი** დაინიშნა შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის ალმშენებლად. ამასთანავე სამინისტრომ გადასდო 40,000 მან., რომლითაც უნდა აავონ ეკატერინოდარში განსაკუთრებული შენობა, სადაც მოთავსებული იქნება რკინის გზის დროებითი სამმართველო.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გორის მაზრაში მამულები ძალიან **დაუზიანებია**.

◆ სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხაანის სასოფლო სამკურნალოს გამგედ დანიშნულ იქმნა **ექიმი თავ. ფავლენიშვილი**, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება მაჩხაანს.

◆ საქარიდან (შორაპ. მაზ.) გვწერენ: 7 ივნისს, შუადღის 4 საათზე, მეხი დაეცა საძოვარზე მყოფ გოგია ფერაძის ხარს. მეხმა დაარეტიანა და გული შეუღონა თვითონ გოგიას და მახლობლად მსხდომ ბავშვებს. ერთის საათის შემდეგ შემთხვევით გაუვლია მეზობელს, რომელსაც უნახავს უსულო გვამები და ყვირილი მოურთავს. ბავშვები ადრე მოუსულიერებიათ. თვით გოგია თხრილში უნახავთ, მთლად გაშავებული. იმ წამსვე ადგილობრივ მკურნალისთვის მიუმართავთ, რომელსაც დაურიგებია, მიწაში ჩაჰფალით ყელამდიო. დარიგება ასრულებულ იქმნა, მაგრამ მორჩენის იმედი დაკარგული აქვთ, თუმცა დღეს გოგიას სიცოცხლის ნიშანწყალი კიდევ ეტყობა.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც დღეს საღამოს მიემგზავრება ქ. გორში, დარჩება იქ სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად 24 ივნისამდე.

◆ შაბათს, 8 ივნისს, ჭექა-ქუხილის დროს მეხი დაეცა კუკიაში ერთს საარტილერიო კარავს, რომელშიაც ფეხი დაუშავა ერთს ჯარის-კაცს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, 7 ივნისს ივანე მჭედლიშვილის დუქანში ყოფილა ივანე ტრუტნევი, რომელიც ისე ძალიან დამთვრალა, რომ თავისივე ხელით დანა დაურტყამს და დაუჭრია გული ორგან. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნეს.

◆ დღეს, 11 ივნისს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი-მოსამართლე განიხილავს საქმეს ტფილისის საავთოიაქო მაღაზიის პატრონის ტიგრან კამოევისას, რომელიც ჰსუხის გებაშია მიცემული იმის გამო, რომ მან 1900 წელს გაჰყიდა ისეთი წამლები, რომელიც საშიშია ხალხის ჯანმრთელობისათვის.

◆ ქალაქის საყასბოს ბეითალის ცნობებიდანა სჩანს, რომ მაისის განმავლობაში დაკლულა 4911 მსხვილ ფეხა საქონელი, 620 ხბო, 100 ღორი და 27,656 ცხვარი.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ჩვენ მივიღეთ ქ. პელაგია ლორიას მიერ შეგროვილი ფულები 10 მ. და 70 კ. სტუდ. გერ. მახარაძის სასარგებლოთ, რაც დაუყონებლივ გადაეცა დანიშნულებისამებრ. აი სიაც შემომწირველთა: მღვდ. ესტატე ბენდელიანმა 1 მ. და 50 კ. თ. ვარლამ ჩიქოვანმა, დავით დადიანმა, №№, ესტატე თვალ-

---

## ფელეტონი

### დაუმთავრებელი ამბები

ამას წინად ერთს გაზეთს სწერდენ ხევსურეთიდან, რომ ხევსურებს ისევ მტკიცედ უჭირავთ ძველი სარწმუნოება: ხუთმა წელმა რომ გაიაროს, ერთხელ არ მოიკითხავენ მღვდელს, ან კი რა საჭიროა თურმე მათთვის მღვდელი, თვითონ ჰყავთ „ხევის ბერი“ ანუ დეკანოზი, რომელიც ასრულებს მღვდლის წესს, რომელსამე ხატის დღესასწაულზე დეკანოზი დაამწყალობლებს ხალხს, ლოცვებს წაუკითხავს, ძღვენს, საკლავს უკურთხებს, დაჰკლავს მათ მოყვანილ საკლავს, ასხურებს ხალხს იმავე საქონლის სისხლსო.

ამ ამბის მომწერი კორესპონდენტი, ეტყობოდა, ძალიან გულნატკენი და ნაწყენი იყო ასეთის ქრისტიანობის წინაალმდეგი ჩვეულებით და წერილის ბოლოს წრფელის გულით იძლეოდა რჩევას: „მღვდელს არას გზით არ შეუძლიან გადააჩვიოს ეს ბეჩავი ხალხი ასეთ ჩვეულებას, თუ პოლიციამ დახმარება არ აღმოუჩინაო“...

წარსულ კვირას ერთს გამდელს მესამე სართულის ბალკონიდან ბავშვი გადმოუვარდა; იქვე მიმავალმა მოხელემ აქეთ-იქით მიიხედა და დაღონებით სთქვა: „ახ, რა უწესოებაა! სად არის პოლიციელი? აქ რომ მდგარიყო, ეს უბედურება ხომ არ დატრიალდებოდაო!“...

ყოველთვის, როდესაც რუსეთში დიდი მოუსავლობა და შიმშილობაა, გაზეთი „მოსკ. ვედ.“ მწარე ცრემლებით მოსთქვამს: „პოლიცია არ გვივარგაო!“...

ნუ გაგიკვირდებათ, მკითხველო! ვინ იცის: საფრანგეთს რომ მარტინიკაზე კარგი „დარაჯები“ ჰყოლოდა, შეიძლება მთას არ აღმოეხეთქა და სენ-პიერი არ დაქცეულიყო. კაცობრიობა ტყვილად იმტვრევს ხან-და-ხან თავს სხვა-და-სხვა თეორიების და გეგმების ძებნისათვის: კათილდღეობის კლიტე ადვილი საპოვნელია ეგებ!.. ა?

მკილხველო, განაგრძე ფიქრები! მეკი გავჩუმდები, თორემ...

—

ბურები ორ-წელიწად ნახევარს ეომენ ინგლისელებს და მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს. ის-კი არავინ იცის, რომ ქუთაისის ინტელიგენცია 10 წელიწადზე მეტს ებრძოლა კალ. ჩიკვაიძის პარტიას. წელს როგორც იქმნა, დამარცხდა ჩიკვაიძე...

ტფილისში უკვე დაეკარგა საზოგადო ინტერესი ბანკის კრებებს, ქუთაისში კი ჯერ კიდევ თავს ამტვრევენ ბანკის საქმეებს და ჰგონიათ, რომ რომელსამე ბანკზე იყოს დამოკიდებული მთელის ჩვენის ქვეყნის ყოფნა ან არ ყოფნა! წრევანდელ კრებაზე, როდესაც თავმჯდომარეს კანდიდატები დაასახელეს—ერთმა პარტიამ გუბერნიის მარშალი, მეორემ—მაზრის წინამძღოლი, ბ. დ. წულუკიძემ შემდეგის დიადის სიტყვებით მიმართა კრებას: „რადგან თავ. ს. ლორთქიფანიძე—გუბერნიის წინამძღოლი, აქ ბრძანდება და ერთხელვე **სამართლიანადა**(?) გვაქვს ჩვეულებად მიღებული, რომ გუბერნიის წინამძღოლი თავმჯდომარეობდეს ჩვენს კრებებს, ამისათვის მეტად უხერხულად მიმაჩნია, სხვა ვინმემ თავმჯდომარეობა ისურვოს. დამსწრე თავად-აზნაურობას არავითარი **ზნეობრივი** უფლება არა აქვს, თავის მიერვე არჩეულს სხვა წამოისკუპოს წინ; ეს თავისი თავის **დამცირება და შეურაცხყოფა** იქნება. მე მგონია, დღეს აქ ამას არავინ **გაჰბედავს**“. (ივერია № 114).

უეჭველია, კაცს ეგონება: ეს ამბავი ინგლისის ან საფრანგეთის პარლამენტში ხდება და დიდი სახელმწიფო საქმეებია წამოყენებული გადასაწყვეტად. ეჰ! რა მშვენიერს სიტყვებს, რამდენს ძალას, რამდენს გონებას ვხარჯავთ პატარა, უმნიშვნელო საქმეებისათვის!...

—

ისე ადვილად არსად შეიძლება საზოგადო მოღვაწის სახელის დამსახურება, როგორც ჩვენში. რამდენიმე „მაღალი“ და „კეთილშობილი“ სიტყვა წარძოსთქვით საჯაროდ და—კმარა. საქმეს ვინა გთხოვთ, თქვენ სთქვით მხოლოდ: საზოგადო საქმე წახდება; საზოგადო საქმე მოითხოვს; საზოგადო ინტერესი იჩაგრება, ეს მესამოცე წლების პრინციპების დავიწყებაა და სხ. და სხ.

განსაკუთრებით ასეთი მოღვაწეები ბევრია ქუთაისში. მახსოვს, ერთი უბრალო ადამიანი იყო, არავინ ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ ერთს კრებაზე მოწინაალმდეგე პარტიის წევრი გაჰკიცხა და გალანძღა. ამის გამო მისმა პარტიამ დიდი ოვაციები გაუმართა მას, ნამდვილ სამშობლოს მხსნელად აღიარა, თვით გამბეტად: „ამდენ ხანს ვცდებოდით, არ ვიცოდით, თუ ამისთანა გმირული კაცი იყავიო!“ თუ-კი თითოორი საათი შესწირე თვეში საქვეყნო ინტერესს, თუ ორი კაპეიკი გამოიღე საზოგადო საქმისათვის, მაშინ ხომ ბიოგრაფიაც გამოიცემა თქვენი, თანაც სურათით!

მე ვიცი ისეთი მოღვაწეები, რომლებსაც ქურდობით და საზიზღარის მატყუარობით ქონება შეუძენიათ, რომლებსაც ძმებისთვის გაუძვრიათ ტყავი, რომლებიც, ან თვითონ მევახშეობენ ან მევახშეების და მძარცვე-

თვაძემ, №№ და ვლ. ალშიბაიამ თითო მანეთი. არჩილ ფიჩხაიამ, ფერშალმა ბესარიონ გრიგორის ძე ჭოლაძემ, ლუარსაბ № და კონსტანტინე ჩხიკვაძემ ათ-ათი შაური. ივანე ლემონჯავამ, №№ და ფანდო ლემონჯავამ თითო აბაზი. ზოსიმე შენგელიამ და ნიკოლოზ თვალთვაძემ სამ-სამი შაური. ნიკო მორჩავამ, №№ და იასონ ჩიქოვანმა ორ-ორი შაური.

◆ „სევერნი ნომრებში“ მცხოვრების ახალციხის მოქალაქის გრიგოლ გრ. კაზმაროვის ბინაზე 9 ივნისს შეპარულა ვილაც ბოროტ განმზრახველი და წაუღია 625 მან. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ნომრის ერთ მოსამსახურეზე.

◆ არგუთინსკის სახლში მცხოვრებს კნ. სოფიო ივ. ნიჟარაძისას გამოუცხადებია პოლიციაში, რომ ძილის დროს ჩემს ბინაზე გაღებულ ფანჯრიდან შეპარულა ვილაც ბოროტ-გამზრახველი და თვლებით მოჭედილი 100 მანეთად ღირებული საყურეები მოუპარავსო.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი, 9 ივნისი.**

დღეს მოხდა ხმოსნების არჩევნები. ბევრი ახალი ხმოსანია არჩეული. სულ აირჩიეს 58 ხმოსანი; დააკლდა ორი ხმოსანი და კანდიდატები.

# პრესსა

პროვინციის ზოგიერთი რუსული გაზეთი ურჩევს ადგილობრივ კომიტეტებს, რომელთაც დაევალათ მასალა და ცნობა მიაწოდონ უმთავრეს საგანგებო კომიტეტს ადგილობრივ სამეურნეო-სამრეწველო საჭიროებათა შესახებ, მიაქციონ ყურადღება სახაზინო მიწებს. გაზეთები სამართლიანად ამბობენ, რომ ადგილ-მამულით შევიწროებულ გლეხობას დიდ სამსახურს გაუწევს სახაზინო მიწების იჯარით გაცემის საქმის გაწესრიგება. მაგალითად, „დონსკაია რეჩ“ სწერს:

> რუსეთში ხაზინის ხელში 150,4 მილიონი დესეტინა მიწაა ანუ 38,5 პროცენტი მთელის რუსეთის მიწა-ადგილისა. ზოგიერთ გუბერნიაში თითქმის მთელი მიწა-ადგილი ხაზინას ეკუთვნის, ზოგში კიდევ ხაზინა ნახევრის მოსაკუთრეა. დასამუშავებლად გამოსადეგი სახაზინო მიწა შედარებით დიდი არ არის (4 მილიონ დესეტინამდე), მაგრამ იგი მდებარეობს უმთავრესად მჭიდროდ დასახლებულ გუბერნიებში. სახაზინო მიწების უმრავლესობას ტყეები შეადგენენ და ეს ტყეები კი კერძო კაცებს ნაკლებად ეთმობათ. აი ამ დიდძალ მიწით შეუძლიან სახელმწიფოს იმოქმედოს გლეხების იჯარის პირობათა გასაუმჯობესებლად. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგმულ იქმნა 1885 წლის კანონით, რომელმაც გაუადვილა სასახაზინო მიწების იჯარით აღება მეზობელ გლეხთა თემებს (20 ვერსის მანძილზე არა უშორეს). ასეთ შემთხვევებში მიწა ეძლევათ იჯარით იმ საზოგადოებებს, რომელთაც მცირე ნადელი აქვთ, ამასთან ეძლევათ უვაჭრობოთ, სოფლის ყრილობის განაჩენით. მაგრამ 1885 წლის კანონს მნიშვნელობა აკლდება იმით, რომ სახაზინო მიწების მახლობლად ცხოვრობენ ყოფილ სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებანი, რომელთაც შედარებით მეტი მიწა მოეპოვებათ. საჭიროა ამიტომ ასეთი შეღავათი მიენიჭოს ყველას გლეხებს, იმისდა მიუხედავად, ახლოა იმათი მიწები სახაზინო ადგილებზედ, თუ შორს. ამასთან ერთად სახნავ მიწების რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქმნას სახაზინო ტყით. ამ გზაზედ დაყენებული საადგილ-მამულო პოლიტიკა სახელმწიფოსი და იმასთან ერთად ახალი საიჯარო კანონმდებლობა, გლეხთა მეურნეობის პირობებთან შეფარდებული, შექმნის უკეთესს ნიადაგს იჯარით სახაზინო მიწების აღებისას.

1885 წლის კანონი კავკასიაში ფაქტიურად სულ არ მოქმედებს. ამიტომ აქ რუსეთზედ უფრო საჭიროა საიჯარო საქმის მოწყობა, რათა დიდ-ძალ უადგილ-მამულო გლეხებს შეეძლოთ სახაზინო მიწების აღება და დამუშავება.

## სახალხო წარმოდგენათა ქართულ სექციის კერძო კრება

9 ივნისს სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა ქართულ სექციის კერძო კრებას, რომელიც მოხდა დილის $11^1/_2$ საათზედ ბ-ნ გ. მ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით, ხალხი ბლომად დაესწრო. კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ მოაგონა დამსწრე საზოგადოებას უდროვოდ გარდაცვალება სახალხო წარმოდგენების ერთ მუყაით თანამშრომელის განსვენებულ თამარ ქუჩუკაშვილისა და სთხოვა კრებას ფეხზედ ადგომით პატივი ეცათ მისის ხსოვნისათვის, რაც კრებამ შეასრულა. შემდეგ კრება შეუდგა წარსულ სეზონის მოქმედების ანგარიშის განხილვას.

ანგარიშიდან სჩანს, რომ 1901 წლის 22 სექტემბრიდან დაწყებული წარმოდგენების მართვა გაგრძელდა 1902 წ. მაისის დამლევამდე. წარმოუდგენიათ სულ 26 პიესა. ამ სეზონში პირველად წარმოუდგენიათ მხოლოდ ხუთი პიესა: „გაცრუებული იმედები“, „დაქცეული ოჯახი“, „დამნაშავეა“, „პედაგოგები“ და „რევიზორი“. წარმოდგენები უმთავრესად იმართებოდა სახალხო აუდიტორიის სადგომში, ავჭალის ქუჩაზედ. რკინის გზის თეატრში წარმოუდგენიათ 3 ჯერ და ავლაბარში (ყაზარმაში) ერთხელ. შემოსავალი მთელის სეზონის განმავლობაში ყოფილა 565 მან. 20 კაპ. ხარჯი 573 მან. 97 კაპ. ასე რომ დეფიციტი სექციას აქვს 8 მან. 77 კ. ორთა შუა რიცხვით თითო წარმოდგენას უნდებოდა 17 მან. 22 კაპ., ხოლო შემოსავალი იყო 21 მან. 72 კაპ. სეზონის განმავლობაში სახალხო სცენაზე რეჟისორობდნენ ბ-ნნი ა. ცაგარელი, ს. გოგოლაშვილი (სვიმონიძე), და ნ. გოცირიძე. ანგარიშის გამო გამოწვეულმა შენიშვნებმა და კამათმა კარგა ხანს გასტანა. უმრავლესობა უკმაყოფილო იყო ასეთის ანგარიშით, რომელიც სავსებით არ ახასიათებს სექციის მოქმედებას. განაცხადეს, რომ არ არის აღნიშნული ანგარიშში, რომელ პიესებს ეტანება ხალხი, როგორი მოთხოვნილებაა ამ მხრივ, რომელი პიესებია წინად წარმოდგენილი და ეხლა განმეორებული და სხვა. კრებამ ბოლოს სურვილი გამოსთქვა, სექციამ შემდეგში სრული ანგარიში შეადგინოს ხოლმე.

შემდეგ ლაპარაკი სარედაქციო კომისიაზედ ჩამოვარდა. გამოირკვა, რომ ძალიან ნაკლებად უმუშავნია სარედაქციო კომისიას. სექციის წევრმა ბ. გოცირიძემ განაცხადა, კარგი იქნება სარედაქციო კომისიას შეუერთებდეთ სექციას, რადგანაც საჭიროა კომისიამ გაიგოს ძალა და გამოცდილება სცენის მოყვარეთა, რომ ამის მიხედვით ამოირჩიოს პიესებიო.

ზოგნი დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას, ზოგმაკი უხერხულად სცნო სექციისა და სარედაქციო კომისიის შეერთება. სასურველად სცნეს, რომ სარედაქციო კომისიამ რეპერტუარის შედგენის დროს მიიწვიოს ხოლმე რეჟისორი და წევრი რამდენიმე სექციისა. კრებამ ბოლოს მიიღო ეს წინადადება, ამასთან დაადგინა, სარედაქციო კომისიის წევრთა ამორჩევა თვით სექციას მიანდოს. შემდეგ შეუდგნენ სექციის წევრთა არჩევნებს. სექციიი წევრთა ახლად ამორჩეულ კანდიდატთა გვარები გუშინ უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

# რუსეთის ქრონიკა

∝ 30 მაისს ვარშავის სამხედრო—საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს ადიუტანტის პოდპოლკოვნიკ ანატოლი ნიკოლოოზის ძის გრიმმისა (42 წლისა), რომელსაც ბრალად ედება სახელმწიფოს ღალატი. საქმე გაირჩა საიდუმლოდ. დაბარებული იყო 16 მოწმე და 1 ექსპერტი. სასამართლოს სხდომა ორ დღეს გაგრძელდა; სხდომას ესწრებოდა ვარშავის გენერალ—გუბერნატორი გენ.—ადიუტ. მ. ი. ჩერტკოვი. საქმის განხილვა დასრულდა 31 მაისს, საღამოს $11^1/_2$ საათზე. თანახმად სასამართლოს განჩინებისა, ა. ნ. გრიმმს მიესაჯა ყოველივე უფლებათა ახდა და კატორგაში 12 წლით გაგზავნა. სასამართლოს განაჩენი ხელმწიფე იმპერატორს წარედგინება.

∝ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სამთო დეპარტამენტის კომიტეტის წევრი შტოფი საზღვარ-გარედ მუშათა სახელმწიფო დაზღვევის საქმის შესასწავლად.

∝ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად მორჩა და ამ ჟამად ისე კარგად გრძნობს თავს, რომ ყირიმიდან თავის იასნოე პოლიანაში აპირებს გადასახლებას.

# თეატრი

**ფოთი.** როგორც პირველ ჩამოსვლის დროს არ დაუტოვებივართ უყურადღებოდ ქართულ დრამატიულ დასის არტისტებს, ისე სოხუმიდან გამოვლის დროს არ დაგვტოვეს და 6 ივნისს ერთი წარმოდგენა კიდევ გაგვიმართეს. წარმოადგინეს „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“ კომედია 3 მოქმედებად დიაჩენკოსი, თარ. ა. ცაგარლის მიერ. მოთამაშეთა შორის ამ საღამოს ყველაზე უფრო მოეწონა საზოგადოებას ბ-ნი ვ. გუნია, რომელმაც ბაზაროვის, უსაქმური კაცის როლი, თავიდან ბოლომდის მშვენივრად შეასრულა. კარგი იყო გელსკის როლში ს. სვიმონიძე და ალექსოვის როლში ი. ივანიძე, რომლის ცოლის ოლღას როლს მშვენივრად თამაშობდა ქ-ნი ალ. კარგარეთელი. სამ მოქმედებიან პიესის შემდეგ ითამაშეს ერთ მოქმედებიანი კომედია „დედის ერთა“ ვ. გუნიასი. ამ პიესამ მეტად გაამხიარულა საზოგადოება. ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის საუცხოვო თამაშობამ დიდ აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. ბ-ნი ი. კარგარეთელი, რომელმაც გიტარაზე ქართული ხმები იმღერა, რამდენჯერმე გამოიხმეს.

საზოგადოება დიდ-ძალი დაესწრო წარმოდგენას.

**ი. იანეთელი**

## ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

(4 ივნისის სხდომა)

(გაგრძელება)

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე მოკლედ გააცნობს საზოგადოებას გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისაგან წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას. პირველის ანგარიშით 1902 წლის გასავალია 36,340 მან., მეორის ანგარიშით—36,940 მან. ე. ი. 600 მანეთით მეტი პირველისაზე. (წარსული წლის გასავალი იყო 33,890 მან.).

ა. თ. ნანეიშვილი: საჭიროა ვიცოდეთ, რამ უნდა გამოიწვიოს ამ წლის მეტი ხარჯი.

თ. ნ. დ. ერისთავი: ეს მეტი ხარჯი იმან გამოიწვია, რომ ბანკის უწინდელ მმართველს ეძლეოდა 2400 მან., ეხლანდელს კი 5000 მან. ეძლევა; მასთან საჭირო შეიქნა ახალი მწერლის დაქირავება, საქმის მწარმოებლის თანაშემწის, ბუხჰალტერის უფროსი თანაშემწის და სხ. ჯამაგირების მომატება და სხვა ხარჯების მომატება.

ა. თ. ნანეიშვილი: ძლიერ საჭირო იყო სასამართლოებში საქმეების მწარმოებელს წარმოედგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან ამ სამი წლის განმავლობაში; შემდეგისათვის მაინც დაევალოს მას მოხსენების წარმოდგენა.

ზედამხედველი კომიტეტის წევრი თ. მ. გ. ფალავა კითხულობს 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვას, საიდანაც სჩანს, რომ ჯამაგირები მოუმატებიათ შემდეგი პირებისთვის: საქმის მწარმოებლის თანაშემწისათვის—80 მან. (ჰქონდა 640 მან.), ბუხჰალტერის უფროსი თანაშემწისთვის—100 მან. (ჰქონდა 900 მ.) ბუხჰალტერის ორი უმცროსი თანაშემწისათვის თითოსთვის—50 მან. (ჰქონდა თითოს 450 მ.), უფროს მწერალს 60 მან. (ჰქონდა წინეთ 600 მ.), ორს უმცროს მწერალს თითოს 30 მან. (ჰქონდათ წინათ თითოს 300 მ.), გამგეობის წევრების კანდიდატებს თითოს 100 მან., ერთ ახალ მწერალს 330 მან.

დირექტორების ჯამაგირათ ნაჩვენები იყო ისევ 1500 მან. თითოსი.

ე. ს. თაყაიშვილი: დირექტორების ჯამაგირი ძლიერ მცირეა; არცერთს რუსეთის ბანკში დირექტორების ასეთ ჯამაგირს ვერ ნახავთ; ეს თითქმის სირცხვილიცაა ბანკისათვის. თუ გვინდა დირექტორები სვინდისიანათ გვემსახურონ, ჯამაგირიც უნდა მოვუმატოთ; თუ მეტი არ შეგვიძლია, თითოს 2,000 მანეთი მაინც დავუნიშნოთ.

ნ. ს. თაყაიშვილი: ეხლანდელი დირექტორები ოცი წელიწადია მსახურებენ ჩვენს ბანკში, მაგრამ ერთხელაც არ უთხოვიათ ჯამაგირის მომატება; ჯამაგირის მომატებას კი არა, ადგილზე დატოვებას გვთხოვდნენ და კიდეც რჩებოდნენ.

ე. ს. თაყაიშვილი თხოულობს კენჭის ყრით გადაწყდეს ეს კითხვა.

თავმჯდომარემ ყუთი დაუდგა ამ კითხვას და 76 ხმის უმეტესობით 68 წინააღმდეგ გადაწყდა მიეცეთ დირექტორებს წლიურად თითოს 2,000 მანეთი.

შემდეგ დიდი კამათი გამოიწვია მამულების მმართველისა და ვექილის დანიშვნამ.

თ. ს. წულუკიძე იმ აზრისაა, რომ ორივე თანამდებობა შეერთდეს.

თ. გ. წიწუა: მამულების მმართველს სასამართლოებში საქმეების წარმოებაც არ შეუძლია. მე მგონია, ერთი კი არა, ორი და სამი მმართველია საჭირო, რომ მამულების მოვლა წესიერად იქმნეს დაყენებული. ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველგან ერთად იწყება მუშაობა და ერთად თავდება. როგორ შეიძლება, რომ ერთმა კაცმა ადგილებიც გასცეს, ღალაც აიღოს და იმავე დროს ბანკის საქმეებიც აწარმოოს.

ა. თ. ნანეიშვილი: ეს კითხვა ძლიერ სერიოზულია. საჭიროა ვიცოდეთ, წელიწადში რამდენი საქმე აქვს ვექილს საწარმოებელი. ვთხოვ გამგეობას ამაზე პასუხი მოგვცეს. (გამგეობას არა აქვს ნამდვილი ცნობა).

თ. ი. აბაშიძე: მეც ძლიერ საჭიროდ მიმაჩნია ნამდვილი ცნობის შეტყობა. როდესაც ვისმე თანამდებობას ვაძლევთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, რის გაკეთებას ვაკისრებთ ჩვენ მას, რომ ამისდაგვარად ჯილდოც დავუნიშნოთ, თორემ ნარდათ ჯამაგირის დანიშვნა არ ივარგებს. მე მგონია, უკეთესი იქნება ზედამხედველი კომიტეტის წევრებს მივანდოთ ვექილობაც და ვექილის მისაცემი ჯილდოც მათ მივცეთ. კომიტეტის წევრები თითქმის ყველა იურისტებია და მათ უკეთ შეეძლებათ ბანკის საქმეების დაცვა, ვიდრე სხვას ვისმე.

მ. ე. დარახველიძე: ჩემის ფიქრით, მმართველი ქუთაისში იცხოვრებს, სოფლებში კი მას კაცები ეყოლება დაყენებული, მაგრამ მანაც ხშირად უნდა იაროს მამულებში, თვალყური ადევნოს მისგან დაყენებულ კაცების კეთილ სინიდისიანობას და მოსთხოვოს მათ ანგარიში. ამიტომ მმართველისა და ვექილის თანამდებობის ერთი კაცის ხელში

---

ლების ვექილები არიან! ან თქვენ-კი არ იცნობთ ისეთს „საზოგადო“ მოღვაწეს, რომელსაც თავის „საზოგადო“ მოღვაწეობით ერთის მანეთის სარგებლობა მოაქვს და თავის „კერძო“ მოღვაწეობით-კი რამდენისამე ათი ათასის ვნება და ზარალი საზოგადოებისათვის?..

—

ქუთაისში ერთის ტფილისელ რუსულის გაზეთის კორესპონდენტია (ბ. ომ—ი), რომელმაც რამდენიმე წერილი „პეტერბ. ვედ.“-შიაც მოათავსა ჩვენ შესახებ—საბრალო ხალხია, შეიწყალეთო. ქუთაისში ეს ლიტერატორი დიდ პატივსაცემ კაცად არის მიჩნეული და ყოველი ქართველი თავის პატრიოტულ მოვალეობად სთვლის, თაყვანი სცეს მას.

წარსულ კვირას ამ ლიტერატორმა კიდევ დასტამბა ერთი წერილი პეტერბურგის გაზეთში, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „ქართველების საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ დააკვირდები, უნებლიეთ გრძნობ რაღაც დაჩაგრულობას, ბეჩაობას, მუდმივ შიშს, სიმხდალეს და ამასთანავე გულუბრყვილო, ბავშვურ ნდობას, მადლიერებას სულ კეთილის საქმისათვის“. ამბობს აგრეთვე, რომ ქართველი ხალხი სრულიად უმეცარიაო და სხ.

მოჰყავს რა ეს სიტყვები „კვალი“-ს (№ 24) თანამშრომელს, მწარე კითხვას იძლევა: როგორ სცემს პატივს „ინტელიგენცია“ ჩვენ ასეთნაირად გამლანძღველ მწერალსო! „განა ეს გასაშტერებელი არ არის? განა ეს გასაკიცხი და დასაგმობი არ არის? რაღა უნდა ვსთქვათ ისეთ ადამიანზე, რომელსაც მისი აშკარა დამცირება, სასაცილოდ აგდება და შერცხვენა ვერ გაუგია?“.

გასაკიცხნი ვართ და დასაგმობნი! მაგრამ იმ კორესპოდენციის სიტყვები მაინც სრულიად მართალია. განა ჩვენ მხდალნი და ბეჩავნი არა ვართ? თავად მუნჯები, შიშისაგან ვკანკალებთ, სიცოცხლეს ვერ ვბედავთ, ხმას ვერ ვიღებთ, და თუ ვინმე გარეშემ, უცხომ ერთი სამადლო სიტყვაც წარმოსთქვა ჩვენ სასარგებლოდ (თუნდ თან ჩვენი დამცირებაც მოაყოლოს), ტაშის ცემით მივეგებებით მას, მონურად მუხლს მოვიდრეკთ მის წინაშე, სადილს გავუმართავთ, ვალხენთ, „მრავარ-ჟამიერს“ ვიღრიალებთ, ღრმად დარწმუნებულნი, რომ ეს ჩვენი „მრავალ-ჟამიერი“ უკიდურესი დემონსტრაციაა!..

არა!.. მართალს ამბობს ბატონი ომ—ი!

**ნიღუა**

მოთავსება შეუძლებლად მიმაჩნია. უკეთესი იქნება სასამართლოებში საქმეების წარმოება მივანდოთ დამფასებელთ, რომელთაც კვირაში სამი დღე თითქმის სულ თავისუფალი აქვთ.

თ. ნ. დ. ერისთავი: მიუცილებელი საჭირო ცალკე ვექილი ვიყოლიოთ. მმართველი უნდა დაესწროს სოფლებში მამულების გაცემას, იჯარის აღებას, მამულის აწერას, ჩაბარებას და სხ. ვთქვათ, იმ დღეს, როდესაც მმართველი მამულის ჩაბარებას უნდა დაესწროს, სასამართლოში საქმეც აქვს დანიშნული. ორივე ადგილას ხომ არ შეიძლება დაესწროს ერთი კაცი!

თ. ი. აბაშიძე ეთანხმება თ. ერისთავს, მხოლოდ ურჩევს საზოგადოებას საქმეების წარმოება ზედამხედველ კომიტეტის წევრებს მიანდოს.

ნ. ს. თაყაიშვილი: ბანკისაგან გაყიდული მამული ხეირიანად არ მტკიცდება მყიდველზე; ამის წყალობით აქვე ვხედავთ თავგატეხილებს და დაჭრილებს. მაშ რას აკეთებს ვექილი? მამულის გაზომვას სულ უბრალო კაციც შეიძლება დაესწროს, ამისთვის ვექილი საჭირო არაა.

ა. თ. ნანეიშვილი: სანამ არ გავიგებთ, რა საქმეებისათვის გვჭირდება ვექილი, საშუალო რიცხვით რამდენი საქმე აქვს მას წელიწადში დასაცავი, მანამ ვექილის დანიშვნა არ ივარგებს.

თავმჯდომარე თხოულობს საქმის გადადებას, სანამ გამგეობა წარმოადგენდეს იმის ცნობას, თუ რამდენი საქმე აქვს საშუალოდ წელიწადში ვექილს საწარმოვო.

გ. ს. თაყაიშვილი: მე იმედი არა მაქვს, რომ ხეირიანი ცნობა მივიღოთ: ეს მეხუთე დღეა ვთხოულობთ ცნობებს გამგეობისაგან, მაგრამ ამაოდ. მე მგონია, საჭირო იქნება ამოვარჩიოთ ერთი იურისტი, რომელსაც უნდა დავუნიშნოთ თანაშემწე, და მაშინ ორივე თანამდებობა შევაერთოთ, ისე-კი რომ პასუხის მგებელი პირველი იქნეს. რაც შეეხება დიდ საქმეებს, რომელიც ძლიერ ძვირათ შეგვხდება, ამისათვის საჭირო იქნება გამოცდილი ვექილის დაჭერა.

**დონ ვალიანი.**

(შემდეგი იქნება)

## წერილი ქიზიყიდან

ორი მტერი ქიზიყისა —მოუსავლობა და ცარცვა-გლეჯა.—განჯელი თათრები და იმათგან ქიზიყის აკლება.—უიარაღობა და უდარაჯობა. —როგორ უხდიან ქიზიყელები სამაგიეროს.— მახვილი.

ძნელია კაცმა სთქვას, რომელმა მტერმა უფრო ძალიან შეაწუხა ქიზიყი—მოუსავლობამ თუ ავკაცობა-ცარცვა-გლეჯამ. რამდენიმე წლის. მოუსავლობამ ძალიან შეავიწროვა ქიზიყი, მაგრამ ისე არ დაუღონებია და სასოწარკვეთილებამდე არ მიუყვანია, როგორც ძალ-და-ძალ ტაცობამ. ქიზიყში მუდამ ყოფილა ქურდობა და საქონლის მოტაცება, მაგრამ ისე ხშირად კი არას დროს, როგორც ეხლა. სამწუხარო ის არის, რომ ქურდობამ მაშინ ამოჰყო თავი, როცა ხალხი მოუსავლობითაა დაზარალებული. რასაკვირველია, მოუსავლობისა და გაჭირვების შედეგი მუდამ ქურდბაცაცობა და ავ-კაცობაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქიზიყს გარეშე ხალხი აწუხებს და არა შინაური. სიღნაღის მაზრას მეზობლობს ყაზახის მაზრა და მთლად განჯის გუბერნია. აი ეს მაზრა და გუბერნია აწუხებს ქიზიყს და აცარიელებს საქონლისაგან.

ჯერ ისევ ზამთარშივე იწყეს თათრებმა თავი და ხან ერთ სოფლიდან, ხან მეორედან იტაცებდნენ საქონელს ოცობით და ორმოცობით. ეხლა კი, როდესაც საზაფხულოდ მთაში დაიწყეს სიარული თავიანთ ალაჩოხებით და საქონლით, უფრო გაახშირეს ტაცობა. თითქმის ყოველ დღე თვალ-და-თვალ, მზიურ-დღიურ იტაცებენ საქონელს ათ-ხუთმეტ სულზე არა ნაკლებს. ხან ოცობით და ორმოც-სამოცობითაც ერეკებიან ხოლმე. დაიტაცებენ თუ არა საქონელს, შეატყობინებენ სოფელს და მისდევს კვალზე რამდენიმე კაცი. წელს ქიზიყი ვერ დაეხწივა ამის თანა მდევებს. ამ მაისში, გახურებულ მუშაობის დროს, როდესაც ხალხმა თივები უნდა გასთიბოს, სიმინდები დათოხნოს, ქერები დამკოს და საზრდო შეიტანოს საზამთროდ, ყაჩაღების დევნას უნდება. კიდევ კარგი, თუ მოეწივნენ და დაიბრუნეს საქონელი, თუ არა და საქონელიც ეკარგებათ და დროც. უკანასკნელ კვირასა ორჯელ გაიტაცეს საქონელი ბოდბე-მაღაროდან ორმოც-ორმოცი სული და ორჯელვე მდევრებმა უკანვე დაიბრუნეს. ერთხელ სადახლოში მოსწრეოდნენ და მეორეთ განჯაში. განჯაში თვალ-და-თვალ ჰყიდდენ საქონელს ბაზარში.

მართალია, იარაღ-ახსნილია დღეს ჩვენი ქიზიყი, რისთვისაც ასე აბუჩად აიგდეს იგი, მაგრამ, თუ ეცდებიან, საქმეს მაინც მოევლება. საჭიროა ქიზიყელებმა რამდენიმე შეიარაღებული მცველი დაუყენონ და იმათ დაავალონ დარაჯობა. თუ ბერდანკების ნებას არ აძლევენ, ბაზარში სხვა თოფი მოიპოვება. ცოტა ძვირად დაუჯდებათ, მაგრამ ორსა და სამ ძროხის ფასსზედ მეტი ხომ მაინც არ მოუნდება. მოხელენი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ხალხის თარეშობას. ყურს რომ უგდებდნენ, ადვილად გაიგებდნენ, ამდენა საქონელს საიდან მოერეკებიან ქურდები და ასე იაფად რადა ჰყიდიან.

ჩვენი ხალხი კი ისეა გაბრაზებული, რომ ლამის იმანაც ყაჩაღობა დაიწყოს. ასე მოიქცა სწორედ ერთი ბოდბელი. ამ ბოდბელს 18 სული საქონელი მოსტაცეს. გამოეკიდა ფეხ-დაფეხ და კვალი ერთ თათრის ბინაზე მიიტანა. საქონელი ვერა ჰნახა, მაგრამ დარწმუნდა კი, ვინ იყო ქურდი. არც აცივა, არც აცხელა, აიღო და სახლის პატრონი რომ გაიცილა, მოჯამაგირეს ძალად წაართვა საქონელი და ბოდბეში გადმორეკა. პატრონი მალე უკან მოჰყვა, მაგრამ გლეხმა უთხრა, ვიდრე ჩემს საქონელს არ მომირეკავ, შენსას არ დაგანებებო. მოხელემ უბრძანა თავისებურ ბოდბელს დაებრუნებინა საქონელი, მაგრამ არც ამან გასჭრა. ახლა სამართალშია ეს საქმე.

ჩვენკენ ამინდი შეიცვალა. ცხელი დღეები დაიჭირა და მუშაობა გახურდა. დიდძალი თივა მოვიდა; თუ მოასწრეს გათიბვა, ორი სამი წლის სარჩოს შეინახვენ. ქერებიც გაიჭრა. წინამხარქიზიყში გალეწეს კიდეც და გაჭირვებულთ ბაზარში გაიტანეს გასასყიდად, რომ ამ მუშაობის დროს ხელი მოინაცვლონ. წინამხარში ყანებიც შემოვიდა და მკასაც შეუდგნენ. იმათ, ვისაც ძალიან უჭირდა პური, გალეწეს კიდევაც. ქიზიყშიაც გაყვითლდა მთლად ყანები და ერთ კვირაზე აქაც მკას დაიწყებენ. ერთმანეთში დიდი სესხობაა. ვინც კი მოასწრო გალეწვა, სული სესხად დაარიგა, რომ ყველას შეუწყოს ხელი, საერთოდ კარგი მოსავალია. ეს არის მხოლოდ, რომ წელს ერთობ ცოტა ნახნავია ქიზიყში.

**ელიბოს ქალიშვილი**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**ლიტერატურული ქურდობა.** ეხლახან ამერიკის სასამართლომ გაარჩია ერთი საყურადღებო საქმე, რომელმაც ძალიან აალელვა საფრანგეთის მწერლობა.

საქმე იმაშია, რომ მწერალმა ერბერლი-გროსსმა საჩივარი შეიტანა ნიუ-იორკის სასამართლოში მაზე, რომ ცნობილი დრამა ლექსად ედმონდ როსტანისა „სირანო დე—ბერჟერაკ“ გადაღებულია იმის პიესიდან, რომელიც 1896 წელს ჩიკაგოში დაიბეჭდა. ამ გვარად საფრანგეთის ცნობილს პოეტს როსტანს ბრალდება ლიტერატურული ქურდობა. ამერიკელი მწერლის ერბერლი—გროსის სახელით ორმა გამოჩენილმა ნიუიორკელმა ვექილმა, ფრანრიდმა და ედვარდ როჯერმა, შეიტანეს ნიუიორკის სამოქალაქო სასამართლოში საჩივარი ანტრეპრენერზე, რომელმაც როსტანის პიესა დასდგა სცენაზე. სასამართლომ მოისმინა მოწმების ჩვენება, აგრეთვე თითონ როსტანისა და განთქმული არტისტის კოკლენისა, რომელიც ასე სანაქებოდ თამაშობს სირანოს როლს, დაადგინა 190 ადგილის მსგავსება ორივე პიესაში და აუკრძალა „სირანო დე - ბერჟერაკის“ წარმოდგენა შეერთებულს შტატებში. როსტანი თავის წერილებში გაზეთ „ტან“-ის მთავარ რედაქტორთან მახვილობს ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამბობს, რომ ისა და არტისტი კოკლენი ღონისძიებას მისცემენ საზოგადოებას, თითონ გადაწყვიტოს ეს სადაო კითხვა. ამის გამო თეატრ „მარტენში“ დასდგამენ ამერიკელი მწერლის პიესას და იმასაც, რომელიც მითომ როსტანს იმისგან გადმოუღია.

* *

**გახიე თუ გაფხრიწე—სულ ერთია.** ერთი ლონდონელი გაზეთი მოგვითხრობს, რომ რამდენიმე წლის წინად მონტე-კარლოში კაზინოს წინ, რომელიც, როგორც ვიცით, აშენებულია ზღვის პირას, ამერიკული კრეისერი დადგა. გემის უფროსი გადმოვიდა ნაპირზე და წავიდა რულეტკის „დასათვალიერებლად“ და სულ რამდენსამე წუთში წააგო 50,000 თავისი და ამდენივე სახელმწიფო ფული. შემდეგ ამისა გემზე დაბრუნდა და აქედან კაზინოს კანტორაში შემდეგი წერილი გაგზავნა: „გთხოვთ დამიბრუნოთ ჩემგან წაგებული 100,000 ფრანკი. წინააღმდეგ შემთხვევაში თხუთმეტი წუთის შემდეგ ზარბაზნებს დავუშენ კაზინოს. ვიცი, რომ ამ საქციელისთვის, ამერიკაში რომ მივალ, დავისჯები, მაგრამ სასჯელს არც მაშინ ავცდები, თუ სახელმწიფო ფულის გაფლანგვაში გამასამართლებენ, მაშასადამე, მე არაფერს არა ვკარგავ“. ამ წერილის კილო რულეტკის ადმინისტრაციას ისე მტკიცედ ეჩვენა, რომ იმ წამსვე დაუბრუნა კაპიტანს წაგებული ფული. დღეს ეს კაპიტანი განთქმული ადმირალი დიუა, ესპანია-ამერეკის ომის გმირი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 9 ივნისი

**ჰელსინგფორსი.** ოფიციალურად უარ ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ სამხედრო სამსახურში გამოწვეულთ, რომელნიც ამ წელს არ გამოცხადდნენ, არა სდევნიან. ეს შენიშვნა დაბეჭდილია გაზეთში რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ვიბორგის სასამართლომ გაამართლა ისინი, ვინც არ გამოცხადდნენ.

**ორიოლი.** 8 ივნისს, საღამოთი იყო ჭექაქუხილი, შხაპუნა წვიმა და სეტყვა მოვიდა, რომელმაც ორ საათს გასტანა; ბურჯები დაანგრია, ქუჩები წალეკა, ბაღები და ბოსტნები დააზიანა.

**ყაზანი.** რვა ივნისს გაუჩნდა ცეცხლი ქალაქის თათრის უბანს; გადაიწვა ბევრი ქვითკირის სახლი, ქვითკირის მეჩითი და ბევრი დუქანი. ზარალი რამდენიმე მილიონია.

**პარიჟი.** „ოჯახთათვის საზოგადო კასსის“ საზოგადოების საქმეები იშლება. ამ საზოგადოებას პრეზიდენტმა აუკრძალა მოქმედება. ამბობენ, რომ სათადარიგო თანხის დეფიციტი 24,000,000 ფრანკია.

**ვენა.** ლვოვიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ სეიმის წარმომადგენელთ და პოლონელთა წრის წევრებმა რეიხსტაგში მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „რადგანაც 30 დეკემბერს 1901 წელს სეიმის დეკლარაციაში და გალიციის მარშლის გუშინდელს სიტყვაში ნება დაერთოთ დეპუტატებს თავიანთ გრძნობათა გამოთქმისა თანამოძმეთა შევიწროების შესახებ პრუსიაში, დეპუტატები წინააღმდეგნი არიან ყოველივე სხვა წინადადებისა“.

**კიევი.** „შაქრის მრეწველობის უწყების“ ცნობებით, პირველ ივნისამდის ჭარხლით ნათესი მინდორი შეადგენს 489,464 დესიატინას.

### 10 ივნისი

**ყაზანი.** დღეს საღამოს ისევ გაუჩნდა ცეცხლი თათრის უბანს. დაიწვა ბევრი სახლი თათრებისა; ბევრი ხალხი უბინაოდ დარჩა.

**პეტერბურგი.** დღეს გამოსულ „ვესტნ. ფინანსოვ“-ში აღნიშნულია უმთავრესი სივრცე ადგილისა, რომელზედაც ჭარხალია დათესილი. 15 მაისამდე ნაჩვენებია 543,536 დესიატინა, თითქმის 3 პროცენტით მეტი შარშანდელზე.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

# გამოსაღები ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 7 ივნისს.**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,10 | |
| ბერლინზე 100 მარკაში | — | |
| პარიზზე 10) ფრანკში | — | |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 | |
| ბერლინზე „ | 46,30 | |
| პარიზზე „ | 37,60 | |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^1/_8$ | გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | $98^5/_8$ | მყიდვ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა. | — | |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 468 | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 359 | „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადვ.-მამ. ბანკისა | 289 | „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | $88^5/_8$ | „ |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | „ |
| ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | $89^3/_4$ | „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — | |
| ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — | |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 170 | „ |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს**—1) № 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

**ბაქოს**—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

**ბორჯომს**—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

**ყარსს**—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან**—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

**ბაქოდან**—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

**ბორჯომიდან**—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

**ყარსიდან**—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ტფილისისაკენ**—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

### გ) ქუთაისიდან გამოდის:

**ტფილისისაკენ**—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

**ბათუმისაკენ**—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

**შორაპნისაკენ**- დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

# განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

## კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 30 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

## ცინკოგრაფია

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკი

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.